



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 10


2013 წლის 14 იანვარი
ქალაქი ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის #234 განკარგულებაში
„ხაშურის მუნიციპალიტეტში ხაშურის მუნიციპალიტეტში ხელოვნების განვითარების
ხელშეწყობის“ პროგრამაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. განხორციელდეს ცვლილება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის #234 განკარგულების შესაბამისად დამტკიცებულ „ხაშურის მუნიციპალიტეტში ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამაში.
2. ცვლილებების გათვალისწინებით განკარგულება ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.
 1. განკარგულება გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
 2. განკარგულება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით;
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ან რაიონულ სასამართლოში ერთი თვის განმავლობაში (მის. ქ. ხაშური კოსტავას ქ.#13).

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე

ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა

პროგრამის მოქმედების სფერო მოიცავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ შემდეგ ობიექტებს: ქ. ხაშურში _ 2 კულტურის ცენტრს, (რუსთაველის ქ.#6 და თამარ მეფის ქ.#14), დაბა სურამში _ კულტურის ცენტრს, სოფელ ქვიშხეთში _ კულტურის ცენტრს.

პროგრამის ძირითადი მიმართულებები:

- ❖ ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის პოპულარიზაცია.
- ❖ ფოლკლორის განვითარების ხელშეწყობა.
- ❖ კულტურული და საგანმანათლებლო დონის ამაღლება.
- ❖ ნიჭიერი შემსრულებლების გამოვლენა, მათი ხელშეწყობა და წახალისება.
- ❖ თანამედროვე მუსიკის კონცერტების მოწყობა.

პროგრამის ბიუჯეტი

გვანისაზღვროს ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ასიგნებები 123120 ლარის ოდენობით:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია	ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლები	სულ სუბსიდიის ოდენობა
21	შრომის ანაზღაურება	108552
22	საქონელი და მომსახურება	14568
	სულ	123120

პროგრამის ხანგრძლივობა:

პროგრამის მოქმედების ხანგრძლივობაა 2013 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:

- ❖ ხელოვნების, აგრეთვე ქართული ფოლკლორის განვითარება და პოპულარიზაცია.
- ❖ მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების განვითარება და ხელოვნებით დაინტერესებულ პირთა რაოდენობის ზრდა.
- ❖ ახალგაზრდობის ჩამოშორება ქუჩის მავნე ჩვევებისაგან, მათი გემოვნების დახვეწა და ინტელექტუალური შესაძლებლობები